

12 თვით	10 მ.	—	კ.
11 ,,	9 ,,	50 ,,	
10 ,,	8 ,,	75 ,,	
9 ,,	7 ,,	—	
8 ,,	6 ,,	25 ,,	
7 ,,	5 ,,	50 ,,	
6 ,,	4 ,,	—	
5 ,,	3 ,,	50 ,,	
4 ,,	2 ,,	75 ,,	
3 ,,	1 ,,	50 ,,	
2 ,,	—	—	
1 ,,	—	—	

იმერსი

№ 235 ყოველ დღიური საკოლიტიმო და სალიტერატურო გაზეთი № 235

წელიწადი 1904 წ. ოქტომბერი 14
 ღირებულება 1 მთელი წელიწადი 10 მთელი წელიწადი 100 მთელი წელიწადი 1000 მთელი წელიწადი 10000 მთელი წელიწადი 100000

ტფილისის სასახლის თეატრი.
 ანტრეპრიზა სიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. ღონსკოისა
 სუთშაბათს, 14 ოქტომბერს

გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა და ბ. ნ. დ. ღონსკოის მონაწილეობით

წამოადგენილი იქნება
იოანე ლეიფენსკი

ოქტომბრის 4 მოქმ. მუსიკა შეაგებებს.
 მოსაწოდებელი მიიღება: ქ. ნიკიტსკოი, პეტროვა-ზვანცევისა და სხვ.; ბ. ნიკიტსკოი, გლეკო, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ბაგრაძე, ჰალანსკი, შურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიროვასკი**. პრიმა-ბალეტრინა **ლენინსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გუმბოფი. კაპელმეისტერი ან. კახანავაძე.

ფანაზია ჩხიშვილი დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 15 ოქტომბერს, ლ. დ. ღონსკოის მონაწილეობით წამოადგენილი იქნება

პიკოვია და მ
 მუსიკა ჩაიგავს.

შაბათს, 16 ოქტომბერს, მეორე ვალა წარმოადგენა ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევის მონაწილეობით

წამოადგენილი იქნება
მერტერი

ოქტომბრის 4 მოქმ. მუსიკა მასხვასი.
 მზადდება პირველად ტფილისში «მ. რინი», მუსიკა ა. რუბინსტიენისა.

ბილეთები იყიდება.
 გამყ. ა. კელაშვილი.

ქართული თეატრის განცხადება.

პირველი წარმოდგენის განხორციელებაში მონაწილეობის მიზნით საყოველთაოდ იწყება, რომ დამდეგ სეზონში ქართული წარმოდგენები გაიმართება ტფილისის სახანო თეატრში ყოველ კვირაში ოთხშაბათობით და საკრებულო დარბაზში (კლუბში) — ყოველ კვირა დღეს.

მსახიობი ქაზნი:

ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, ა. კარგარეთელი, ნ. მესხი, ბ. ნეპრინიძისა და ნ. ჯავახიშვილი.

მსახიობი კაცნი:

ვ. აბაშიძე, ვ. გუნიანი, კ. მესხი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ს. სტომონი, ვ. შალიკაშვილი, გ. გუდუაშვილი, ი. ივანიძე, ა. იმედაშვილი, ნ. სარჯველაძე, გ. იორდანიშვილი, ბ. ბეგლარიძე, ა. წულუკიძე.

საკვანძოლოდ მოწყობილი იქნება:

ე. ს. მესხი და ე. ს. ალექსი-მესხიშვილი.

რეჟისორები:

შექსპირი: იულიონ კვისარი, ტრ. ნ. მოქმ.

მოლიერი: «კრიკანგი», კომედია ნ. მოქმ.

შილლერი: «ორლეანელი ქალი», ტრავ. ნ. მოქმ.

ვერდი: «მედიკა», ტრავ. 1 მოქმ.
 იბსენი: «საზოგადოების ბურჯი», «მოჩენების», დრამა ნ. მოქმ.; «ხალხის მტერი» ანუ ექიმი შტოკმანი.
 ჰაუპტმანი: «როზა ბერნტი», დრამა ნ. მოქმ.; «მზის ამოსვლის», დრამა ნ. მოქმ.; «სულით ობოლი», დრ. 3 მოქმ.

ზუდერმანი: «მამული» (მეგდა), დრ. 4 მოქმ.; «ფრიცენ», დრ. 1 მოქმ.

ბარბეტე: «ახალი მოძღვრება», დრ. 5 მოქმ.

ჯიკომეტე: «ივლითი», ტრავ. 5 მოქმ.

ფერარტი: «მებრძოლი აზრისათვის», ისტორ. კომ. 4 მოქმ.

მეტერლინი: «ბრანი», დრ. 7 მოქმ.

სულით საიდუმლონი: «დრამა ნ. მოქმ.

გიუ-დემოპასანი: «M-lle ფიფი», შინტელერი: «მწვანე თუთუყუში» 1 მოქმ.

დრევიერი: «მასწავლებელი», კომ. 4 მოქმ.

ფილიპი: «კაპობრიოპის კეთილმოყვარეობა», დრ. 3 მოქმ.

ბრიე: «მსაჯული» (წითელი მანტი), გ. ერისთავი: «ყვარული ათამაგი», სუბმათაშვილი: «ალატია», დრამა 5 მოქმ.

დ. ერისთავი: «სამშობლო», დრამა 5 მოქმ.

მ. დედაბრძოლი: «მთა თვადი», ისტორიული დრამა 3 მოქმ.

ნ. აზიანი: «სამშობლოს ბურჯი», კომ. 2 მოქმ.

ტრ. რამიშვილი: «მეზობლები», დრ. 4 მოქმ.

ი. ველოშვილი: «ჭრელი სუფრა», ვ. გუნიანი: «სხვის ნაობარზე», დრ. 3 მოქმ.

დ. ნახუცრიშვილი: «ოჯახის ბურჯი», აგრედევი დევი ცნობილი პიესები.

მორიგი რეჟისორნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნიანი და კ. მესხი.

პირველი წარმოდგენა იქნება ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს, სახანო თეატრში.

დირექტორი ამხანაგისა. (3—3).

პირველი კერძო სამკურნალო

მედიკოსი ნავასარდინისა (კვლავი, ვორონკოვის ქუჩის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმთ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ღ ბ ი თ:

ა. მ. ჩიქოვანი 9 საათიდან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ბ. ნ. აბაშიძე 11—12 საათამდე — კანისა და ვენერულ ბრუტულ ვადმყოფობისა

გ. ნ. აბაშიძე 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

დ. ი. ბაქალიანი 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ე. ა. თაბახანი 1—1/2 საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ვ. ა. კაკაბაძე 1—1/2 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა — სამშობლობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

პერკო სამკურნალო

მედიკოსი დ. ა. გაბაშვილისა

კუჩა, ველიკონიკაის ქუჩა წინა ნაბერეჟნა, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.

ბილეთები № 274
 ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ა. ი. ბაბაჯიანი — შინაგანისა, 9 1/2—10 1/2 ს.

ბ. თ. მუხომანი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

ვ. ი. კახიანი — საშარდისი, ვენერიული და ბრუტული. 11—12 საათ. ყოველ დღე.

გ. ი. კახიანი — ხირურგია — ვიზიტა, სამშობლობით, ხუთშაბათ. და შაბათ. 11 1/2—12 1/2 საათ.

დ. ი. იოსელიანი — ქალისა და საბავშვო, სამშ. ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

ე. ა. გაბაშვილი — შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

ვ. ბ. დიანაძე — სიფილისისა და კანისა, 12 1/2—1 1/2 საათ.

გ. ბ. სოლომონი — ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. 1—2 საათ.

დ. ა. ბიბიანი — შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ე. მ. მინიანი — ქალისა, საბავშვო და შინაგანისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 2—1 საათ.

ვ. ბ. მუსხელიანი — თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშ. და კვირ. 2—3 სათ.

ს ა ღ ბ ი თ:

გ. ბ. სოლომონი — ხირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

დ. ბ. დავითიანი — შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში მსახიობი ქიმიურ-მედიკოსობით დაქვემდებარებულია გამაგებებისა.

ჩრველ-დარბეზი 50 კ., ოპერაციები მორიგეობით. კრამეტი 3—5 მინუტამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოებულია ოცის კრამეტით.

ტელეფონი № 274 (წ.)

ომის აგზები

დამაგზები და წარმომადგენლები.

გაზეთ «რუსკია ველომოსტების» სამხედრო მიმომხმეველი ბ. ნი. ს. კ. სურს, რომ მანუალიში 3 ოქტომბრიდან მოკიდებული როგორც შეიცვალა საქმის ვითარება და თითქო ბელმა ჩვენს იბრუნა პირია. მანამდე თუ სატყვე იერის მიტანა ისე დასრულდა, რომ შემდეგ საშინელის ზარალისა ჩვენ კვლავ უკან უნდა დაგვეყიდა, ამ დღის შემდეგ თითო-ორთა კერძო გამარჯვებამ როგორც მოატრიალა ჩარბი და ლამის ისე მოსახერხებელი შეიქმნა გენერალ-კუროპატკინის გეგმის შესრულება. 23 სექტემბრიდან მოკიდებული ჩვენ სულ წინ მივდით, მტერი კი უკან უკან იწვედა. 30 სექტემბერს მარშალმა ოიამამ მოიკრიბა ძალა, შემოვიტია საშინელის გამაღებით და უკან გვაქვეყნა პირი. ამას შემდეგ მისი მარცხენა არმია გენერალ ოქუს მეთაურობით მოგვედგა და მოგვრეგობდა ჩვენს ჯარს მდინარე ხუნხეს მარცხენა ნაპირებამდე. ჩვენმა დაბრუნებამ იქამდე გაამხინვეა ოიამა, რომ აღარ იფიქრა, თუ რა საშიშ მდგომარეობაში სტოვებდა მარშალ ნოძუს არმიას, რომელსაც კარგა შორს მანძილზედ დაპორდა ოქუ. გენერალმა კუროპატკინმა უკვე ასწონ დასწონა საქმის ვითარება და კიდევაც დროზედ გამოვიყენა თავის სასარგებლოდ აჩქარებულ საქციელს ყოველთვის აუჩქარებელ და გაფრთხილებულ ოიამასი, ჩვენი ჯარი მდინარე შახეს მარჯვენე იყო ამ დროს. რაკი ნოძუს არმიას მოხმრე შორსა ჰყვანდა, გენერალ კუროპატკინმა მოაბრუნა თავისი ჯარი შახესკენ, გადავიდა მდინარის მარცხენა მხარეზედ, გააპო მტრის შუაგული და კვლავ დაიბრუნა მიტოვებული პოზიცია სოფელ საშეუბად ვილ-

რე ბანიუპუზამდე. მართალია, ოქუ ისევ მდინარე შახეს ზემოთა სდგას დასავლეთისკენ და შიში ჰყავს ჩვენი ჯარი, რომ მარჯვენა მხარეზე არ შემოუაროს და ზურგიდან არ დაეცეს; მაგრამ თუ როგორმე ეს მარცხი ავიტყვინთ თავიდან, საქმე სხვაგვარე მოგებულსა ჰგავს, ამიტომ რომ ჩვენი ორად გაყოფილი ჯარი მოახერხებს შეერთების და უმთავრეს კორპუსებს მოწყვეტილი აღმოსავლეთის რაზმები აღარ იქმნებიან ისეთ საშინელს მდგომარეობაში, როგორც აქამომდე. თანაც მდინარე შახეს მარჯვენა ნაპირების დაქვეით ოიამას ვეღარა შეაჩერებდარა, რომ პირდაპირ ხუნხეზე წამოსულიყო და ჩვენი ჯარი იძულებულ იყო მუქდენისკენ დასაბრუნებლად. ეს ეწადა ოიამას და აჩქარებამ ჩაუშალა განზრახვა. ამ სახით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იაპონიის მთავარ-სარდალმა ვერ შეასრულა თავისი მოხერხებული გეგმა, რომელიც ასე საშიში იყო ჩვენთვის ამ რაზმდენისამე დღის წინ და რომელიც 3 ოქტომბრიდან უკვე საძველო შესასრულებელი შეიქმნა.

მაინც ჯერ ნადრევი ზოგიერთების გაცხარებული იმედი, ვითომც ეხლა-კი უშეველად გიმარჯვებს ჩვენი ჯარი და ამოიყრის მტრის ჯავრსაო, მართალია, ჯარების განწყობა და ადგილ-მდებარეობა ეხლა უფრო უკეთესი გვაქვს, ვიდრე სექტემბრის გასულს, მაგრამ ნუ დავგვიწყვდება, რომ იანთაის მიდამოებში, საშინელი ზარალი განახეთ და მტერი-კი იქ უფრო გამაგრებული დგას, ვიდრე აქამომდე. ნურც იმას იფიქრებს ჯერ ვინმე, ვითომც ჩვენმა ამ კერძო წარმატებამ აიძულოს ოიამა და ზურგი აწვენებინოს ჩვენთვის, ჰგონიან, იაპონიის ჯარი დღეს იქით უნდა წელ-წელა დადგეს ლოიანის გზასა და ამ ქალაქის სიმაგრეებში დაიჭიროს ბინა, თორემ უამისოთ იგი ვეღარ გვიდგობსო. მაგრამ საქმის ვითარება გვაჩვენებს, რომ ოიამა სრულგზობით არ აპირებს ასეთის უადგილო იმედების გამართლებას. იგი არამც თუ უკან არ იწვევს, პირიქით თანდათან მიმეტებულ ჯარების აგროვებს მახესთან ნოძუს არმიის გასამაგრებლად, აგრეთვე ოქუსაც უგზავნის სათადარიგო რაზმებს. გარდა ამისა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოიამას ემატება დიდრონი ზარბაზნები, რომლებსაც შახესკენ არ ამოპზიდავენ, თუ კი სახეში ჰქონდეთ უკან დაბრუნება. პირიქით, ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ ოიამა მოიკრებს თავის ძალ-ღონეს და ისევე მდგრად დაგვიდგება წინ, როგორც სექტემბრის გასულს, უკეთეს გენერალი კუროპატკინი კვლავ მიიტანს საერთო იერიშს მტერზედ. (რ. ვ.)

რამდენს ჯარს გადაჰზიდავს ციმბირის გზა? ინგლისურ გაზეთ «სტანდარტის» ანგარიშით, რაც პაიკალის შემოსახვევი გზა დამთავრდა, რუსეთს შეუძლიან გადაიყვანოს ხარბინამდე თვეში 35,000 ჯარის კაცი მთელის მათის ამუნიციითა და მოწყობილობით. აქამომდე კი თვეში გადაჰყვანდა სულ 23,000 კაცი. მაშასადამე: მომავალ წლის პირველ აპრილამდე ჩიყვანს ხარბინში ასორმოცდა ათი ათას კაციდამ ორას ათასამდე. (რ. ვ.)

ძალა «ოტნოშენიებისა». გაზეთ «რუსკოე სლოვო»-ში ბან ნემიროვიჩ-დანიჩკოს მოჰყავს შემდეგი სურათი:

— ნუ თუ რაბენი მართლა მოუკლავთ?

— მოუკლავთ საცოდავი.

— აფსუსს, რა კაცი იყო! — წამოიძახა ეს სიტყვები ახალგაზდა დამ მოწყალეებისამ და მწუხარება გადაეფარა პირის-სახეზედ. ცრემლებს ძლივს იმაგრებს.

— თქვენი ნათესავი ხომ არ იყო ცხობილებული?

— არა, იმისი ცოლი ჩემი დობილია. ეხლა ლაოიანშია. რანაირადა სწუხდა საწყალი, სულ შიში იყო, თითქო გული უთხოვდა. მეშინია პირდაპირ არ შეატყობინონ ეს საზარელი ამბავი ვერაიტანს, თუ არ მოამზადეს. ვინ იცის იქნება არც კი შეატყობინონ და ქმრის ცხედარი მიყენონ თავს. ნეტა როგორმე შეიძლებოდეს, რომ მოგაშალოთ ქალი.

— აი, აქვე თქვენს პოლკთან ტელეგრაფია.

— თუ ღმერთი გწამთ, მომიხერხეთ, თორემ მოკვდება საცოდავი, ვერ აიტანს.

— ვისს სახელით მიეწერათ დეპეშა?

— კნაიანე კანტკუენის სახელით მისწერეთ ან ალექსანდროვსკის, ან კრუპენსკის, რომ მოამზადონ ქალი, ოპ, ღმერთო ჩემო, გუშინ რა მხიარული იყო საცოდავი რაბენი, ჯანით სავსე...

— გავეწიეთ ტელეგრაფთან. ახეველ გავქათო, ოტნოშენიე სად არისო! — გვევითხებიან.

— თუბედვი შემთხვევაა. სად გვაქნება ან ბეჭედი ან ოტნოშენიე...

— ახეველთ არ შეიძლება. ვერ გავგზავნით დეპეშას.

— ღმერთმა უშველოს, ეანდარმის ოფიცერი ჩაერია საქმეში:

— ამ საათში მე თვითონ ჩემის ხელით გავგზავნი დეპეშას.

— ტელეგრაფისტი ეანდარმს ვერ ეტყვის უარს, და ჩვენც გულზედ მოგვეშო.

ეს ერთათ ერთი შემთხვევაა, რომ მთელ ამ ომიანობის განმავლობაში ეანდარმი სასარგებლო გამოდგა.

ახალი ამბავი

ინგლისელ ქალის წერილი ქართულად. მკითხველს ესმომება, რომ ამ წერილ-რვა წლის წინად ერთმა ქალმა მარჯაო უორდროზმა განიზრანა ქართულის ენის და მწერლობის შესწავლა და, მიუხედავად მრავალის დაბრკალებისა (საქირო სახელმძღვანელოების უქონლობა და სხვ. მალე დახვლოვანდა წერა-კითხვაში.

ამ დღეებში ჩვენს რედაქციას მოუვიდა ქნის მარჯაო უორდროზისაგან წერილი, რომელსაც აქვე შესვლილად ვბეჭდავთ იმის სახეგნებლად, თუ უცხო ქვეყნის ქალს როგორ და რაოდენად შეუსწავლია სხვის დაუხმარებლად ჩვენი ენა.

აი თვით წერილი: მოწყალეო ხელმწიფევი თითქმის ორი წელიწადია არ მივიღე ივერია. მეშინიან რომ ჩემი ბრალია, ამისთვის რომ ჩემი ახალი აღრესი არ გამოვიზავე. მიზევი ესა: ჩემმა ძმამ და მეც უცებ შორეულ კუნძული ჰაიტში წავსულვართ და არ ვიცოდით, რამდენი ხანი დავრჩებოთ იქ.

ეხლა კი ჩემი ძმა დანიშნულია კონსული პეტერბურგში და დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ ინე-ბუთი გამოგზავნოთ თქვენი პატრიცემული გაზეთი, რომელიც მუდამ ვკითხულობ და სიამოვნით და რომლისა გაგზავნისათვის აქამდისინ დიდ მადლობას მოგახსენებთ, საქართველოს ამბავი ჩვენთვის მეტად საყურადღებოა თქვენს ზეტაის მტკეპლა მარჯაო უორდროზა.

* ზნაშვილი ვ. ერისთავისა. გუშინ, 13 ოქტომბერს, კალაუბნის ეკლესიაში გარდახლდ იქნა ზნაშვილი თავ. გიორგი ერისთავის სულის მოსახსენებლად მის გარდაცვალებიდან 40 წლის შესრულების გამო. ზნაშვილს დაესწრა ქართველი ინტელიგენცია, მოსწავლე ახალ გაზღობა ქართულ დრამატულ სოზოგადების გამკობის წყევნი, ქართველი მსახიობნი, წერა-კითხვის გამ. საზ. და ადგილთბრივ უურნალ-გაზეთების წარმომადგენენი.

*** * * უწესიანების მოთხოვნა საქმის გაჩეკვა.** დღეს, 14 თებერვლს, ტფ. სასამართლო პალატის სისხლის სამართლის 1-ლი დეპარტამენტი გარჩევს განჯის 40-დგ მსჯობურებს სომხეთს საქმის, რომელიც პარალელურად, წინააღმდეგურადაა მოლაპარაკება-შეთანხმებით პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა სომხეთს საეკლესიო მამულების ხაზინისათვის ჩაბარების დროს. ეს საქმე პალატაში გადამხილდა განჯის ოლქის სასამართლოს ბრალმძებლის ამხანაგის პრეტესტისა და ზოგიერთ დამანაშავეთა განსაზღვრებით. დამანაშავეთა დამტკიცებად არიან: ნაფიკ ვეკილის თანამგმწე ი. ა. გრუზინბერგი (ვეტერნარული), ნაფიკი ვეკილი მურავიოვი (მოსავლიდან) და ადგილობრივი ვეკილები: ნაფიკი ვეკილი მ. ა. გრუზინბერგი, ხომენტიკოვსკი, იოანესიანი და სხვ. საქმეს განიხილავნ ხალხის დაუსწრებლად.

*** * * მონაგვობა რეპუტაციასზე.** ქართულ წარმოდგენების მიმართვე ამხანაგობის გამგებამ დაადგინა, რომ რეპუტაციასზედ მორიგეობით ესწრებოდეს ხსენებულ გამგებანს წევრი.

*** * * რუსეთის ფოსტა.** როგორც იყო, ვეღარც და მოვიდა გუშინ ტფილისში რუსეთის ფოსტა, ოთხის დღის შეჩერების შემდეგ კავკასის გზაზედ, ანანურსა და მღერის შუა, საურმე გზა გაუძრავთ.

*** * * ქართულ წიგნების მადანაზი.** ამხანაგობის განუზრახავს აგრედვე ქართულ წიგნების და დრავებში შეხებით გამოცემათა ხალხში გავრცელება. ვუსურვებთ ამ ხალხს ქართულს საქმეს სრულს წარმატებას.

*** * * ამაში დაწვრილი ქართული.** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ 7 სექტემბერს ამაში დაუკრიათ დადესტინის პოლიცის მედროსზე თავ. დავით ზაქარიას ძე ქაჭავაძე.

*** * * ბოქალის დაჭრა.** ბათუმდგან ჩოგ. თბ. ს. დეკემბით ატკობინებენ, რომ 12 სექტემბერს, დილის 8 საათზედ, ვიდასაც რევოლვერით დაუკრია მე-ნ ნაწილის ბოქალის ფილიმონოვი. დამანაშავე დაიძალა.

*** * * გუნაბის და „უგლინი“ ქუჩის სახლის პატრონის თხოვნა.** ტფილისის გუბერნატორს მიმართეს თხოვნით გუნაბისა და „უგლინი“ ქუჩის სახლის პატრონთა, ჩენის ქუჩების ვითამდამიკორწყლვის დროს ამოთხარეს ოღრო-ჩოღროდ მიწა და წვიმა მოვა თუ არა, ისეთი ტლაპა და ტბა დადებენ, რომ თუ არ ნავით, ისე გავლა არ შეიძლება, ამას გარდა, მკვდარ თავგებით ტკატებითა სავსე ეს ტბა და, ცოტათი როცა ვაშრება, ისეთ საშინელს სიმკრადეს ავრცელებს პერში, რომ აღმანს დაარტანებს. ხოლოცა ეს ცხვირ წინ გვიდგას და ამანაშავე ქალაქის საინტარგენმა ისეთი მაგარი ციკლოპიური მიავსწერეს—სახლების წინ ქუჩები სუფთად შეინახეთ, რომ ქვას გახეთქს, ზედ რომ დასდო-

თა... ამას წინად ტფ. საბჭოს ერთმა ხმოსანმა დათვალდნენ ეს ადგილი და გვირგია, მიწა ჩაჭურეთ და ტლაპა-ქობი ამოავსეთ, მაგრამ ეს ჩვენ 100 მან. გვიჯდება და მომავლინებელი ცოცხა არ იქნება, თუ ქალაქი თვითვე გადაათრევს მისგანვე მოკვანვე ძალსაო. ამის გამო ხსენებულ სახლის პატრონის სთხოვენ გუბერნატორს, დაავალეთ ქალაქის გამგებანს, დაუოგნებლივ ამოავსოს ეს ტლაპა მიწითა და ჩვენ ამის ხარჯი ავვაშორეთ. ამას ჩვენის მხრით დავეუბტებთ, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსანებს ხოლოცა სრულიადვე არ აშინებოს, რადგან ეს არც ოკანსტრუქციონა და არც სკოლისტრუქციონა, არამედ მეტად სკოლანა და ბავიან ბამბარდით. როცა არ შეუძლიან. მაშ, სულ ტყუილი არაა თავის შეწუხება ქალაქის მხრივ? ესევისი კირი—ღამის ჩხირი—ნათვქამი.

*** * * ხორცილი კაჭკაბის მოქსარიკება.** საბუთადლო გამგებანმ წინაგან საქმეობს სამინისტროს ცირკულირით აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ უფარვის ხორკის დაწუნების შესახებ გამოცემა ახალი წესები, რომლითაც უნდა ახელმძღვანელდნ ხორცილი მოთხოვნებმა და თან გამოუგზავნა ამ წესების ეგზემპლარები. ხსენებული გამგებან სთხოვს ბ-ნ გუბერნატორს, რომ გამოაცხადოს ამის თაობაზედ ადგილობრივ ოფიციალურს გაჩეთში და ამიერიდან ამ წესების თანახმად უნდა იქმნას ხორცი უფარვისად ცნობილი. ეს წესები უნდა დაეგზავნათ აგრედვე კასტებსა, ბეთიან-პოლიციებში, რომელთაც სასტიკად უნდა ადევნონ თვალყურს, რომ ცუდი ხორცი არ გაჰყდონ ხალხში და მით სხვა და სხვა სენის გავრცელებას ხელი არ შეეწყონ.

*** * * ახალი დანაშაულები.** ოლქის სასამართლოს სამსამართლო თანამდებობათა უფროსი კანდიდატი მიხეილ თომასიძე ნიკურაძე დაინიშნა ამავე თანამდებობაზედ ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

*** * * კარგოკის საქმე.** 12 თებერვლს სისხლის სამართლოში გასარჩევად დანიშნული საქმე ტფილისის „კარგოკის“ საზავებლო სადგამის ანტისანიტარულ მდგომარეობის გამო კარგოკის მამასხლისსა პასუხის გებაში მიცემის შესახებ გადაიდგა 26 თებერვლისათვის.

*** * * ახალი წიგნი.** რედაქციის მოუვიდა ახალი ქართული წიგნი: „მთებში“, თხზ. აპარტინისა, სომხურიდან თარგმნილი ქ. კ. ს. მიერ, გამოცემა ი. იმედავილისა წიგნი შეიცავს 16 გვერდს და პირის ერთ შაურად.

საქართველო

დ. თიანეთი. ქურდობა და ბოროტმოქმედებანი. წელს თიანეთის მაზრაში სხვა წლებთან შედარებით წყალობითა დღისათა ბოროტ-მოქმედება გასშორდა. აი მაგალითი: ამ თვის ექვს თიანეთის მომრიგებელ მოსამართლემ განიხილა საქმე თიანეთის „სტრაჟინის“ უსტინიე დიპოკივისა და ჯარის-კაცის თველო-

რე ივანოვისა, რომელიც ხევსურის ხახუა ქიქარაულის ვერცხლის ხანჯლის მოპარეა ბრალდებოდათ; საქმე ასე იყო: ამ თვის პირველს თიანეთში თიანეთის მიხრდგან დაბარებულნი იყვნენ ახლად გამოწვეულნი ჯარის კაცი კენქის ამოსალგებად და რახან ფაშალებს, თუშებს, ხევსურებს და კახელებს ერთმანეთში ხშირად ჩხუბი უხდებოდათ, მაზრის უფროსმა უბრძანა ბოქალეებს, ყველასათვის იარაღი აეყარათ. როდესაც ფაშა-ხევსურეთის ბოქალემა ოზიშვილმა ხევსურებს აპყარა იარაღი, ისაულს და სტრაჟინისა დიპოკის გაატანა თავის სახლში. ანდაზა ხარბის თვლი არ გაძლებოდა. სტრაჟინის ვერცხლის ხანჯლები: მისწონებოდა, ეფიქრა, ერთ-ერთ მოვიბარავა; გახედ დიპოკის თვისი ძველი ნააზნაგარი ჯარის კაცი ივანოვი შეგზებდრიდა; დიპოკი განგებ უკან ჩამორენია ისაულს; აურჩევია ერთი ვერცხლის ხანჯალი, 40 მანეთად ღირებული და მიუცია ივანოვისათვის. ეს შეენიშნა თიანეთის მომრიგებელ შუა-კაც ბ. ცისკარაშვილს, რომელმაც ორი ისაულე გამოუყენა ივანოვს და უბრძანა, ბოქალეთან წარედგინათ მომართული ხანჯალი. ოქმის დადგენის დროს ივანოვა თავისი თავი დამანაშავედ სცნო და აღიარა, მართლია, ხანჯალს დიპოკივმა გადმოცა და მე, როგორც ჯარის კაცი, შემრცხვა იარაღის ხელში დაქერა და იმიტამ დავალო. დიპოკივი არ გამოტყდა ამ თავედურ ქურდობის ჩიდენაში. საქმე გადაეცა თიანეთის გამომჩინებელს.

დათაკო გავაშვილი.

პანაისის ხიობა. ქისტების ნავადობა მთელ ზაფხულს თუშეთიდან ხმა მოდიოდა—პირიქითელი ქისტები არხეინად დანავარდობენ და სოფლებს არბევნო. სად ვის თოფები დააყარეს, სად რომელ მწყემსს ყელი გამოსტრეს და საქონელი გარყვეს, სად სოფელს დაეცინენ და ხალხი დაწოიკეს, სად მინდვრიდან ასობით გარყვეს ცხვირი, ძროხა, ცხენი და სხ. საწლო კაცისაგან ვაგიტეთ, რომ მართო ერთი თუშისა გაურეკიათ ოთხასი სული ცხვირი; ისე შეუწუხებიათ საწყლენი, რომ ამომენ თურმე, თუ არ გადაეხალდით, სხვა ღონე აღარ დაგვრენიაო. ეს რის მიზეზია? მე მართო ამას ვიტყვი, რომ აღრევე ბეკრი ქისტისა და ლეკის დედა აუტირებია თუშისა.

დადგა შემოდგომა. თუშეთსა და ჩვენს შუა მიებდამ ჩამოიკრია მწყემს-საქონელი და ახლა ჩვენზედ მოდგა ჯერი. პირიქითელ ქისტების მამასხლისს თურმე ქალაქი გამოუგზავნა თუშებისთვის—სამლო კაცი მანდეთ წამოვიდა სათარეოდ და ფრთხილად იყავითო და ეს მართალიც გამოდგა. ამ თვის 9-10 დამე ს. აღვანში დაიტაცეს 8 თუშენი ცხენი; გაუგეს თუშებმა, გამოიჭრნენ და ჩვენს ხეობაზედ მოუტრეს გზა; ასე თენების ხანს შექნათ თოფის სროლა; თუშებმა რომ დასძალეს და შეაწუხეს, ზედაც თენდებოდა, შეშინებულმა ქისტებმა ზოგმა ცხენები გარეკა და ზოგმა ისევ თოფით მოგერიება იწყეს თუშებისა; ორი ცხენი მიანც-

დაადგინეს და დანარჩენები ცხენ-კაციანად მიემალნენ ტყეში; თუშებს სროლაში ერთი ცხენი დაუტრეს, რომელიც იქვე მოკვდა. ყაჩაღებს დროზედვე გამოვიდა ჩაფრებით ადგილობრივ ბოქალის მოადგილე თავ. ი. გ. ყარაალაშვილი და კაი მანძილზედ გაჰყვა, მაგრამ ვეღარა გაიგო-რა. ეს შემთხვევა სათქმელი არცაა იმასთან, რომელიც ახლო კიდე ამ თვის 26 პანკისში მოხდა.

დღისით, მზისით საათის 2 ცხვე მეკობრენი-ოცამდე კაცი დაცნენ დროებით ბუწუნ-ხევზედ მსჯობურებს ორ ფშვილას ქურციკა გოგონაშვილის და სვიმონა ბეკურაულის მწყემს-საქონელს; დაუშინეს თოფები მწყემსებს, რომელნიც შეშინებულნი მაშინვე ბინისკენ გაიქცნენ და ყაჩაღებმა-კი არხეინად გაირეკეს ორმოცი სული საქონელი: რვა სულ დაზრეული კაპუეტი ხარი და დანარჩენი ძროხობა და ზოგობა; პატრონებმა ჩქარა გაიგეს და დაედევნენ, მაგრამ ორი-ოცთან რას იზამდა, ზედაც ბინდმა მოასწრო და თავი მანებეს, ხოლო ორი მოხვერი, რომლებიც სისუქისაგან გულქეპული იყვნენ, ვეღარ ეტარებინათ, ისინი და მოიყვანეს. სხვა მდევარი მარტო მეორეს ღლეს და გაჰყვა უკან, მაგრამ ვინ და როდისა?

მიუსაველობა. საფულში თუშთა თავთავის დროზე წვიმები არ გვაკლდა, მაგრამ ამინდი მიანც როგორაც ხმელი იყო; ამისათვის სიმინდები ძრიელ უკან დასწია. წვიმანმა ვაზაფხულმა კიდე ყანებს ძრიელ გარაველა მოპრია და კიდეც ამიტა, ასე რომ პური და სიმინდი ნახევარზედ ნაკლებია წინააღმდეგ. თავი პური 4 მან. ფასობს, ბოლო 3 მან. ამ თვის ნახევრიდან სულ გამუდმებული წვიმა; თოვლმა მთის წვერები შემოსა და სოფლდაც ჩამოვიდა, მაგრამ ფეხი ვერ მოვიდა; ამით შეშინებული ხალხი მიესივა სიმინდებსა და ჯერ ისევ ლურჯ ფურჩს ჰრადეწყო. სიმინდის მაზანა ჯერ არ არის; მეტის-მეტი საქონლის უსაქლობა; თივა, თომელიც აქამომდე ხუთ-ექვს მანათლ იყიდებოდა, იმას ესლავე 10—12 მანათლ აფასებენ.

სამშობლოს გარეშე

II. საინტერესო შეხვედრა. (წერილი კიევიდან).

სამშობლოს გარეშე ძალიან ხშირად ამოჰყოფს ხოლმე თავს ისეთი გარემოება, რომლის სურათის დახატვა ძალიან უნებურად მოგსურებია. შეხვედები ვისმე გამოჩენილ ჩვენს ან სხვა საზოგადო მოღვაწეს, ახალგაზრდა მოსწავლე ქართველებს ან უცხოელთ, აქ დაბინავებულ ქართველთა და მათს ოჯახს, რომელსამე უცხოელ ქალს თუ კაცს, ჩვენს ქვეყანაში ნაწყობს... შეხვედები რა ამით, უთუოდ აღვთ თუ გვიან ჩვენთვის საყურადღებო საგნებზედ ჩამოვარდება ხოლმე ბასი, სჯა...

ასეთ შეხვედრის დროს გამოთქმული აზრი ან გამოაშკარებელი ვითარება არ არის ხანდისხან მოკლებული საზოგადო ინტერესს...

ამ დროს ატეხილი ბასი კოველითის ერთგვარად არ მოქმედებს. დღეს თუ კარგ გუნებაზე დაგაყენებს, ხაოლ რაი-ლონებს. ჩვენ ვაღაწევიტო ეს შაბაქლოვებანი შორისა და თოვლით სახალადობას გავუზიაროთ...

ესლა რუსეთში ყოველ ქართველებსთვის სასიამოვნო დროა: სეკდემბერში აქაურ უმაღლესს მოსწავლეთა რიცხვს ემატება საგრძნობელი რიცხვი ახალგაზრდათა.

სიხარულით მოველით ხოლმე ამით. თუ ჩვენ, ქალაქს წელს არ ეწვივნენ ახალნი მოსწავლენი, გზით მიანც გამოიარეს. ზოგნი ორი-სამი დღით დარჩნენ და გასწიეს სხვაგან.

ამას წინად ერთს ქართველს ახალგაზრდას თან ჩამოჰყოლოდა მამა. პატივცემული ქართველი მამა, როგორც გარეგნობა ამტკიცებდა, ეკუთვნის კაკარდოსანთა წრეს და ქონებრივად შეძლებული უნდა იყოს.

მდინარე დნებრის ნაპირას აღმართულ ამწვენებულ გორაკზე დაგვიჩინებდნ მართო. უცებ მომესმა ქართული ლაპარაკი. მივიხედე... ხანში შესული მამა და ახალგაზრდა, უმაღლესს სასწავლებლის მოსწავლე...

გულმა ვეღარ მომიტინა და მივესალმე. მამა ძალიანა, მითხრა ახალნაცნობმა და მეც დაუჯერე. — აქ ცხოვრობთ მუდამ? — დამეკითხა ღიმილით. — დიაღ.

— გუშინ ჩამოველი და რა ვუყო არ ვიცი ჩემ შეილს... — როგორ? — დამეკითხე ვაკვირვებით. — სად დავეყენო, არ ვიცი, მეშინია— არ ვთროს ვიქების გროვაში... თქვენც კარგად იცით, ესლანდელი ყმაწვილები სწავლას არ აქცევენ ყურადღებას...

— სამწუხაროდ... მინდოდა გამომეთქვა ჩემი აზრი, მაგრამ არ დამაცლია. — ჰო, ბატონო. სწავლის ნაცვლად დღმართს, მართებლობას, მთავრობას ეჩხუბებინა... მეშინია, გამიბრყვებენ შეილს... მეტი არა მყავს, ჩემი სიმძლირე მაგისთვის მინდა...

— აქ ბევრნი ქართველნი არიან, რის გეშინიათ, — დავამშვიდე მე. — უბედურობაც ეს არის, რომ ბევრნი არიან.

— რაში ხედავთ უბედურებას?! — დაუთინათ, ბატონო, სხვებსავით— მოძმე, ქვეყანა, დანაგრული და ათასი სხვა. თვითონ არაფერი განიხილ და სხვის აწყენება სურათი... თუ ვლახა და ღარიბი ხარ— გინდა ქართველი იყავი, გინდ ფრანგი, არავის არ ეჭირებები...

ამ დროს ორი ქართველი ახალგაზრდა მოგვემბატა. ამათ მოსვლის წყალობით დაწამდა ჩემი მოზავე.

აგრე ადვილად არ მინდოდა ახალ ნაცნობთან დაშორება და ამიტომ ყველანი მივიბატრე სახლში ჩიხე...

ფილემონი

მომრე საშაბრი
ჩვენს სასოფლო მეურნეობაზე *).

ნათქვამია, დედა ნახე, მამა ნახე, შენლი ისე გამოხახეო. დაუჯეროთ გონიერს ანდაზას და გავცნათ ჩვენის აწმყოის დღე-მამას, ჩვენის ახლანდელის ცხოვრების უმახლობელეს წარსულს, რომლისაგანაც იგი წარმოიშვა.

ბატონ-ყმობის დროს მდიდარი ის იყო, ვისაც ბევრი ყმა ჰყავდა. მდიდარს ჰყავდა გლეხი ხუთას კომლამდის; ღარიბსა ჰყავდა ერთი, ხუთი, ათი. ისეთი შემთხვევებიც მრავალი იყო, როდესაც ხუთი და ათი მეზატონე მხოლოდ ორი, სამი გლეხის პატრონი იყვნენ.

მდიდარი სასოფლო მეურნეობას არ ეკიდებოდა. შეიძლებოდა ჰქონოდა ყანა, ვეხახი, მაგრამ სადღე-კაცოდ, უფრო სი-

ამოცნებისათვის, რომ დამტკბარიყო მუშურის გრიალით. შინაურ მეურნეობისაც მის სახლში არა მოიძვევებოდა რა. აქ ვერ გაიგონებდი ვერც მამლის ყივილს, ვერც ძროხის ბლავილს, ძალი და ცხენი იყო ცხოველითა შორის ორი კეთილშობილი, რომელიც „სასახლში“ ბინადრობის ყოფლება ჰქონდათ მიწებულნი. არც არავითარს სხვა საქმეს ჰქონდა იგი ხელს, თავი-მღვდელი, ვაჭარი არც ვაგონილა. დაბალი ხელობა სასხენებელიც არ არის, თავა-პირველად დიდის ხალისით მიისწრაფოდა სახელმწიფო სამსახურისაკენ, მაგრამ რადგან ცოდნა არა ჰქონდა, ვერას ვახდა. ერთად-ერთი, რაც კი სასახლ-ბორიდან გამოჰყვებოდა, იყო ჩინი, რომელიც უფლებას აძლევდა აზნაურობის კერებაში მონაწილეობა მიეღო. უფრო ხელსაყრელად მიანდა ბერობა. როდესაც მამას ბევრი ვაჭი ჰყავდა, ერთ-ერთს ბერად გამოჰხადებდა. მხედველობაში ჰქონდა, რამდენადმე აეცლინა ოჯახისათვის ის დამცირება, რომელიც მოსდევს შეილეთა შორის მემკვიდრეობის განაწილებას და მეორე კიდე უფრო ისა, რომ ჩემი შვილი ოდესმე ეისკოპოსი, ესე იგი ბატონი გახდებოდა. ამ დროს ვეკლესიაც დიდი მეზატონე იყო. ჰქონდა დიდ-ძალი მიწა-წყალი და ჰყავდა მრავალი გლეხი

და აზნაურიცა. ამ ოცდა ათის წლის წინად ხალხი იმერეთის ეპისკოპოსს ეხახდა „ბატონს“.

ამ გვარად მდიდარი მეზატონე არა სთვდა, არა მკვდა და არც არავითარს სხვა შრომას ეწყოდა, მაგრამ სარჩო ჰქონდა მდიდარი და გამოუღვეელი. სარჩოს წყარი გლეხის მეურნეობა იყო.

ბატონის სეტირება იყო ის თარგი, რომელზედაც გლეხის ბეგარა გამოჰქონდა: „შობა-ახალ წელიწადს ვასუქებული ღორი, აღდგომას—ბატანი, ზაფხულს—ციკანი და ხბო. ძროხის გადახდენი ცალკე იყვნენ, ესრედ წოდებულნი აზაზნი, დომს, ლეინოს, პურს ანგარიში არა ჰქონდა, ქათამხელ ნამდვილ სრულდებმე დამაკლეს, არა დაკლეს, მგვე დამაკლესო“. თუ გლეხის ოჯახში ქათმის აწიოკებას ჰოჭრავდი უურსა და დედა-კაცის ხმა ქორის მოსაგვრებლად აღარ მოიხმობდა, ეს უტყუარი ნიშანი იყო, რომ ამწიოკებელი ბატონის მოხელე იყო. გლეხის მეორეობის ყოველ დარგში წილი ედვა ბატონსა. უკანასკნელი აზრეშუმი, თაფლი და ცვილიც უნდა მირომეოდა.

გლეხს ფულდაც ემართა მცირე გარდასახადი. ამ ფულით ბატონი ყიდულო-

ბდა იმას, რასაც ვლევხის მეურნეობა ვერ მისცემდა.

თუ მდიდარს მეზატონეს ასე უხედად ეძლეოდა სარჩო გლეხისაგან, პირადის სამსახურით კიდე უფრო უზრუნველ ყოფილი იყო მისგანვე. თვითაყელს გლეხს ემართა შინაყმა, ფარეში. შეღავათი ეძლეოდა იმ რიგით, რომელიც წაგავს ახლანდელს სავალდებულო სამხედრო სამსახურის შეღავათებს. ამის გამო სასახლე საცხე იყო მოსამსახურებელი. მათ შორის შრომა იყო განაწილებული არა ნაკლებ, ვიდრე დღევანდელ ფაბრიკებში და ქარხნებში. ღობის მცხვებელი-მოჯალაბე, ხაზაზი, მზარეული; საქმლის მომტანი, დამრიგებელი, მიმრთმევი, მერიქივე, მეჯინივე, კურთხელი, აზიერი თავ-თავის უხუცესებით. ერთი ასახადა წყალს, მეორეს ეჭირა ტაშტი, მესამეს—საშონი ღმირსახლი, მეოთხეს—სარკე და საფარცხელი. გარდა ფარეშისა კერაში ერთჯერ თუ ორჯერ ბატონს შეეძლო კიდეც მოეთხოვა მუშა გლეხისაგან. ამ მოსამსახურეთა ჯარის სათავეში უდგა მოჯრავი თავის თანამგმწე ხელოსნებითურთ. დედათა სქესის მსახურთა პერსონალი, რასაკვირველია, შეუდარებლად უფრო მცირე, ცალკე იყო. ამასაც ჰყავდა თავისი მოუჯრავი—გამდელი. ამას გარდა ხშირად შეხვედებოდა სა-

სახლში შორიდან მოსულ ღარიბ აზნაურებს. ისინი ისეთსავე როლს ასრულებდენ, როგორსაც დღეს ასრულებენ განსაკუთრებულ მინდობილების მოხელენი. განსაზღვრული სასყიდელი არ ეძლეოდათ, მაგრამ მოვლოდენ ოდესმე დიდსა და მდიდარსა წყალობას.

მდიდარს თავას აზნაურიც მრავალი ჰყავდა. ისინი ემსახურებოდნენ ცხენითა და უნაგირით, თოფითა და ხმლით. როცა თავიდან მგზავრობდა, მისი ამაღა აზნაურობა იყო. მეფეთა დროში აზნაურების განსდგებოდა სამხედრო რაზმი, რომელიც ბატონს მეფეთან მიჰყავდა; მაგრამ ისეც მოხდებოდა, რომ საყუართარს მეფეს განხედ გაუდგებოდა ან და წავილოდა და მტერს ამოუდგებოდა გვერდი, ამავე რაზმს ხმარობდა ხშირად სხვა და სხვა გვარ ძალმომრეობის ჩასადენად და აწვევად ძირს უთხრიდა კანონის და უფლებების ავტორიტეტს თავის სამშობლო ქვეყანაში. ჩვენმა ერმა ვერ შეჰქმნა ძლიერი სახელმწიფო უფლება. საქართველოს მეფემ ვერ აღაგმა თავგასული ფეოდალი. მისმა ზარბაზნმა ვერ დაარღვია ჩვენის სენიორების ციხე-კოშკი. ეს იყო ერთი მთავარი მიზეზთაგან ჩვენის ქვეყნის დაღუპვისა. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა მოისპო, მაგ-

მანდო უმაღლესი ხელმძღვანელობა ჩინებულის ჯარებისა, რომელთაც ახალი სახელი და დიდება მოიხვეჭეს, და შეურყევლად მარჯვნივ, რომ შეწყვეთა ყოველი შემძღვებლის დემოტისა ძლიერი მტერი შემუსვრილი იქნება სასახლოდ სათავგანმებლის ხელმწიფისა და ძვირფასის მამულისა. ხელმოწერილია: გენერალ-ადიუტანტი ალექსეი-...

13 ოქტომბერი
პატარაზრგბი. ეთიოპიის იმერატორმა მინელიცა 100,000 ფრანკი გამოაკვანა ჩვენთა ავადმყოფთა და დაქრითა საქირობისათვის.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალი ოტონიანისა ა. ა. ფრეზე ინიშნება ვილნოსა, კოვნოსა და გრინდოს გენერალ-გუბერნატორად და ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარის უფროსად.

სანა. გოფგერისტი დაიწეს განხილვა სანატორად ნაყოფის შუშანის საქმისა. შუშანს პრადდება სახელმწიფო დალატის მზადება. ჩამოართვეს ჩვენება შუშანს. მან უარყო ბრალდება და სთქვა, ჩემს საქციელსა და მოქმედებას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონია. 26 ოქტომბერს მოწმეებს ჩამოართმევნ ჩვენებას.

ბოქო. 12 ოქტ. (რეიტ.) ტოკიოს განხილვა დიდიმომხარა ერთადერთობა გამოსატყა თვისი აზრი ჩრდილო ზღვაზე მომხდარ უბედურების თაობაზე. გაზეთი ამბობს, უფრო კეუზედ ახლო ასე ვიფიქროთ: ამ რამდენსავე დღის წინადა ხმა გაგრცლდა, ვითომ დანიისკენ წავიდა რამდენიმე ჩვენი გემი ასაფეთქებლის მასლით. დანიის მთავრობამ რუსთა ესკადრას სახმედრო გემი გაატანა თან დანიის ნეიტრალიტეტის დასაცვლად, ჩვენ არა ვიცით რა იქონიანში, რომ ვითომ აქედან გემები იქ წასული. ხოლო შესაძლოა რუსის ესკადრამ იფიქრა. სათევზაო გემების სახით იპონიის ნაღმონები არ დაგვეხსნენ თავსა. და თვით დაასწრო თავს დასხმა, რაც შეცდომით სათევზაო გემი ჩვენ გემებად მიიღო.

ბოქო. 12 ოქტ. (რეიტ.) თამა იწერება, რომ შახს ბრძოლაში იპონიის ზარალი, თუ ოფიცრებსაც ვიანგარიშებთ, სულ 15,879 კაცია მოკლული, დაქრული და უკუშოდ დაპარული.

ჩიუ. 12 ოქტ. (რეიტ.) ანდუნდან მოსული ნავი იუწყება, 8 მაღაზია სურსათისა, ბარგი-ბარხანისა და ტყვია წამლისა გადამწავა. ორ დღეს ეკიდა ცეცხლი, რომელიც გასჩინა, როგორც ჰქონებენ, იპონიელთა ორის ოფიცრის უკურადღებობით. ორივეს თავი მოუკლავს.

ლონდონი. 12 ოქტ. (რეიტ.) რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, ოქს ლაშქარში მყოფი, იუწყება, რომ ზამთრის მთავრობების გამო ჯარებს თბილი ტანსაცმელი დაურიგდა. როგორც ეტყობა, ჯარი არ დაზარალდებულა ნადრევის სიცივეებით. ლაშქარი დიდს სამზადისშია.

გუმიანი. 13 ოქტ. გუშინ დაურიგეს წმ. გიორგის ჯვრები იმ ჯარის კაცთ, რომელთაც თავი ისახელეს ახიანის ახლოს.

მოსკოვი. ერობის გაგზავნილი თავადი დაოლგორუკოვი იუწყება, როგორ მოქმედებდა ერობის სანიტართა რაზმი ლიანის უმთავრეს ბრძოლის დროს. რაზმი მოქმედებდა განაპირა მარცხენა ფრთისკენ. ვესმარებოდით ჯარს, რომ უკან მშვიდობით დაეწია, თან ვსცდილობდით არ წავიყვანეთ და ქონებაც კადავერჩინა ქუმბარების დაშენისგან. მძიმედ დარჩილთა გარდა, ავადმყოფნიც არიან. სანიტარები ცოტანი ვეყვანნ.

ლონდონი. 13 ოქტომბ. (რეიტერი). სათევზაო გემებზე დაქრითა შორის აღმოჩნდა ერთი ინჟინერი, ერთი ოფიცერი და კაპიტანი, დაქრულნი ჯერ ჯერობით კარგად არიან.

ლონდონი. 13 ოქტომბ. (რეიტერი). დელი ტელეგრაფის კორესპონდენტი იუწყება პორტატორიდან, რომ ცხენსიმავრის გარეშე რუსებს შეიძლია საფარსაგარი აქვით. პრეტეტორების და შუშუნების დასვები სიმავრებს შორის აქვთ მომართული. ამ სახით, რუსებს ადვილად შეეძლოთ თვალ-ყური ედღათ იპონიელთა ზედმოსევისათვის და დაეწინათ კუმბარები ხერხიანად დამალულ ზარ-

ბაზნებიდან. საფირ-სანგრებს ათასი ფუტი სიმაღლე აქვთ და შორიდან კარგად სჩანან. 12 მილზეა გაკუმული რუსთა სიმავრენი. საქმა დაძვინი რომ ჰყავდეს ამ სიმავრედ, 100,000 მხედრობაც ვერ აიღებდა. საოცარი საქმე იქმნება, თუ იპონიელებმა აიღეს კიბე და მხოლოდ 30,000 კაცი დაჰკარგეს, იმიტომ რომ მჭიხიანენი, თუცა დადლილობას გრძობენ და რიცხვ-მცირენი არიან, მინც შეუძლიანთ ცხის დაკვა ისე, რომ დიდი ზარალი არა ჰხანან. დიდ ძალის ხალხის გაწირვა დასკირდება იპონიელებს თუნდა წინა სიმავრეთა ასადებად.

ბლაგოვიჩისკი. ნავთობა შესწევდა. 10 ოქტომბერს მოვიდნენ უკანსკელად გემები. ამურის თოში მოაქვს ფოსტა ცხენებით დასკით. მრავალი საქონელი სრეტენსუში ჩარჩა, ვიდრე საზამთრო გზა გავიდოდეს. ძირედ ნაკლებად არის აქ ნავთი, შაქარი, სანთელი და მარილი. ფასებმა აიწია. ხაზინამ მისცა ქალაქს 60,000 მ., ოღონდ ხორცი არ მოაკლდეთ მცხოვრებთა.

ვაშინბორნი. 12 ოქტომბ. (რეიტ.). მიეწერათ აქედან შეერთებულ შტატების წარომამდგენელი, შეიტყუთ გარემოება მანდაურ მთავრობათაგან და თან მოიწვიეთ რუხველტის სახელით ახალ კონგრესზედ ჰავაში. კონგრესის საგანი იქმნება გაფართოვება და განმტკიცება ძირითადის კონვენციის მნიშვნელობისა. კონგრესმავე უნდა მოილაპარაკოს, რა დონისძიებით შეიძლება მომავალში შემცირდეს და შემზიდეს საშინელებანი, რომელიც თან ახლავს დევანდელს წესს ომიანობისას; აგრედვე რა დონისძიებით შეიძლება დაკვა და გაფართოვება გაშლილ ზღვაზედ სანიტარული ვაკრობის უფლებებისა. დრო და ადვილი კონვენციის ნება აქვს დანიშნოს იმ სახელმწიფოთა უმრავლესობამ, რომელიც შეიწყნარებენ ამ მოწყვეტას და მოწოდებას.

დროებით რედქტორი ბრ. პიფიმი. გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

გამოსაღები ცნობანი:

Table with 2 columns: Item Name and Amount. Includes entries like 'პატარაზრგბის ბიკა', 'ვექსილის კურსი', 'ლონდონში 10 გირგ. სტ.', etc.

მიმოსულა რუინის გზის მატარებლებმა ამ წლის 18 აპრილიდან. (ფრანსილეს კარგად ნაწყენება შეტერსურგის საათი, ფრანსილესმა—ტელისისა.)

ა) ტფილისიდან მიდის: ბაქო: 1) სწრაფი № 20 (მართა სამზაბათობით) ნაშუადღევს 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დღის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.). ბათუმი: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დღის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.). მარაგანი და შარხს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.). ბოჯოჯო: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დღის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მიდის:

ბაქო: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარაკვეს), ნაშუადღევს 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევს 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დღის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონლ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.). ბათუმი: 1) სწრაფი № 2 დღის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.). მარაგანი-შარხს: საფოსტო № 76/77 დღის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონლ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.). ბოჯოჯო: სამგზავრო № 8/7 დღის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.). ბ) ბაქოიდან გამოდის: ტფილის-ბათუმი: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.). გ) ბათუმიდან გამოდის: ბაქო-ტფილის: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დღის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დღის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

მანცხალუბანი

ქუთაისში ს. ბ. თოფურია სამეპურნალეში. რომელიც იმყოფება მთას უმაღლესობას პრინც ალექსანდრე ოლდენსურგის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქორტოგო, დედათა და თვლით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპით. გამოკვლევათა კაბინეტით. გადამღებების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს. ფასი ოღე-ღამეში ჰამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ახალი გამოცემა... 1) იანვანამ რა ჰმნა? მოთხრობა ი. გოგებაშვილის მიერ... 2) ბუჯი პრინციპისა, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპიკად, ვინც ოცობით—15 კაპიკად. 3) Къ вопросу о мингрельской школѣ, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა. 4) Правда о Тифлисѣ, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა. 5) Какъ поднять Кавказную народн. школу, მისივე, ფასი ექვსი შუარი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპიკად, ვინც ოცობით—22 კაპიკად. (5—1).

საკომარსკო კურსები ქალებისა და ვაჟებისათვის (Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9) კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომარსკო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელავებით მკოდნელი. სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ეძება სასწავლებელი: 1) საკომარსკო ეკანონია, 2) საკომარსკო არითმეტიკა, 3) ბუბალტერია (მარტივი, ორჯევი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომარსკო მიწერ-მოწერა, 6) სავაქრო და სათამაშო წესდებანი, 7) მსწრაფდ-წერა და წერა-გაკრული და შწონიანი (исправление дурнаго почерка) სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დღის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს № საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგამში, სახლი ალექსანდრე ფრედონოვისა, 4 9, სერგაევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში, პროგრამებით და წესებით კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგამში და გაეგზავნოს. ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამასრებელ ს. ბ. მანუელიანს, ტფილისს. უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღე. (24—24)

კალოშებისა და ჩიჩინის სხვა სამონისათვის უდიდესი ჯილდო (Grand prix) პარიკის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ ამ ხანაგობას რუსეთ-ამერიკის ჩეზინის მანუფაქტურისას ს. პატარაზრგბი, დაარსებულს 1860 წელს. ჩიჩინის კალოშების ყიდვის დროს სიხოვენ ყურადღება მიაკვირონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). ნარდათ ვაჭრობას აქარმოვებს სავაქრო სახლი „ლოპოლდ ნიუგოლარი“ პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ტფილისსა და ტაშხარკოვს, ირკულტსკს, კენტიში. (60—60).